



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 126

2017 წლის 11 სექტემბერი

ქ. თბილისი

**„2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის  
ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ**

“მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის თორნიკე სხირტლაძის 2017 წლის 8 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (N1031385) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსიდან მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია  
 სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო  
 ფონდის გენერალური დირექტორის  
 2017 წლის 11 სექტემბრის N 126- ბრძანებით

2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსიდან  
 საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მოხსნილი პროექტები

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების მიმართულებით

შიფრი	სახელწოდება	ორგანიზაცია	მოხსნის მიზეზი
MG_SS_04	ზამთრის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლა	ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაცია	კომისიამ გასცა რეკომენდაცია პროექტის მოხსნის შესახებ, ვინაიდან დარღვეულია ფინანსური ლიმიტები, კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, მე-5 პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები
MG_SS_13	ქართველ მეცნიერთა მასტერკლასების სერია სოციალური კვლევის მეთოდებში	სი-არ-არ-სი საქართველო	კომისიამ გასცა რეკომენდაცია პროექტის მოხსნის შესახებ, ვინაიდან დარღვეულია ფინანსური ლიმიტები, კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტიპუნქტი.

მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტის მიმართულებით

შიფრი	ღონისძიების დასახელება	მოხსნის მიზეზი
MG_86	მსმენელი / სადემონსტრაციო მასტერ-კლასის მონაწილე	კომისიამ გასცა რეკომენდაცია პროექტის მოხსნის შესახებ, ვინაიდან დარღვეულია, კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი
MG_56	პოსტსტალინური ეპოქა, ხრუშჩოვი და საქართველო.	კომისიამ გასცა რეკომენდაცია პროექტის მოხსნის შესახებ, ვინაიდან დარღვეულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი